



შენაბამოსობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ნოე ქაშიბაძე

13 იანვარი 2020 წელი

N 3136

ევგ.: N 1

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა
და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მიერ
100%-იანი წილობრივი მონაწილეობით
დაფუძნებული შპს „ავტოტრანსსერვისის“ ფულადი
სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური
ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი

ძირითადი ნაწილი	გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	4
	1. შესავალი	7
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტის საგანი	7
	აუდიტის მასშტაბი	7
	აუდიტის კრიტერიუმები	7
	აუდიტის მიზანი	8
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	10
	2. აუდიტის მიგნებები	11
	დანართები	21
	საკონტაქტო ინფორმაცია	24

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

აფხაზეთის მთავრობა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

აფხაზეთის ფინანსთა სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო.

სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო.

საზოგადოება (საწარმო) – შპს „ავტოტრანსსერვისი“.

პარტნიორი (დამფუძნებელი) – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „ავტოტრანსსერვისის“ ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

1. საჯარო ელექტრონულ აუქციონზე გატანილი მოძრავი ქონების რეალიზაცია

საჯარო ელექტრონულ აუქციონზე გატანილი მოძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხების არამიზნობრივი ხარჯვა

პარტნიორისგან საწარმოს სხვადასხვა დროს გადაეცემოდა მოძრავი ქონება, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული მიზნობრივობით (ბიზნესპროექტებში). საწარმომ აღნიშნული ქონება გაყიდა საჯარო ელექტრონული აუქციონის გზით და მიღებული თანხები გამოიყენა არამიზნობრივად – მიმდინარე ხარჯების დასაფარავად.

აღნიშნულის შედეგად, არამიზნობრივად განეული ხარჯი შეადგენს 78,600 ლარს.

2. ბიზნესპროცესები

2.1 კანონმდებლობასა და საზოგადოების (საწარმოს) წესდებასთან შეუსაბამოდ ქონების იჯარით გაცემა

აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრის ბრძანებით¹ საზოგადოებას (საწარმოს) დაევალა სამინისტროს სარგებლობაში მიღებული უძრავი ქონების² საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვლა-შენახვა და კომუნალური გადასახადების გადახდა. საზოგადოება (საწარმო) ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის³ გარეშე სახელმწიფო ქონებას იყენებდა სამეწარმეო საქმიანობისთვის. კერძოდ, ქონებას იჯარით გასცემდა სხვადასხვა ფიზიკურ პირზე და მოქმედი კანონმდებლობის⁴ მიხედვით არ იხდიდა ბიუჯეტში ქონების სარგებლობაში გადაცემის საფასურს.

2.2 კანონმდებლობასა და საზოგადოების (საწარმოს) წესდებასთან შეუსაბამოდ გარე აუდიტორის შერჩევა

საზოგადოების (საწარმოს) ღირეფტორმა პარტნიორის თანხმობის გარეშე დანიშნა გარე აუდიტორი, რითაც სამინისტროს მხრიდან არასათანადო კონტროლის პირობებში გადაამეტა საზოგადოების წესდებით⁵ განსაზღვრულ უფლებებს.

საზოგადოების (საწარმოს) წესდების მოთხოვნის დარღვევით შპს „ავტოტრანსსერვისის“ ღირეფტორის მიერ გარე აუდიტორის დანიშვნით, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამო, წარმოიშვა არაობიექტური აუდიტორული შემოწმებისა და დამოუკიდებელი აუდიტორის დასაქირავებელი თანხის არაეფექტიანად გახარჯვის რისკები.

¹ აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 16 მარტის N01/44 ბრძანება.

² ქალაქ თბილისში, მეველეს ქუჩა N17-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2369 კვ.მ ფართობის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე, საკადასტრო კოდი: N 01.17.12.016.015.

³ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 33, პუნქტი 1.

⁴ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 36, პუნქტები: პირველი და 13; მუხლი 38, პუნქტი 3.

⁵ შპს „ავტოტრანსსერვისის“ წესდების მუხლი 4, პუნქტი 3.

2.3 კანონმდებლობასა და საზოგადოების (საწარმოს) წესდებასთან შეუსაბამოდ მოკლევადიანი სესხის აღება

სხვადასხვა პერიოდში დირექტორი გასცემდა საზოგადოებისთვის (საწარმოსთვის) მოკლევადიან სესხებს, თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი: დირექტორისა და საწარმოს შორის დადებული სასესხო ხელშეკრულება, სესხის სახით ფულადი სახსრების მოზიდვის აუცილებლობის და მიზნობრიობის დასაბუთება, პარტნიორის გადაწყვეტილება⁶ (თანხმობა) სესხის აღებაზე და მოზიდული ფულადი სახსრების ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები.

შესაბამისად, მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით დირექტორის კანონშეუსაბამო⁷ ქმედება შეიცავს ინტერსთა კონფლიქტის ნიშნებს და სამინისტროს მხრიდან კონტროლის სისუსტის პირობებში წარმოადგენს არახელსაყრელი ქმედებით საზოგადოებისთვის მიყენებულ ზიანს.

3. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების და პირველადი ჩანაწერების წარმოება

3.1 შეუსაბამოები ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერებსა და დამფუძნებლისთვის წარდგენილ ფინანსური ანგარიშგების ნაშთებს შორის

იჯარით გაცემულ აქტივებზე ხელშეკრულებით დარიცხული მოთხოვნების და გადახდების პირველადი დოკუმენტების მიხედვით, ფაქტობრივად გაანგარიშებული დავალიანებების ნაშთები არ ემთხვეოდა დამფუძნებლისთვის წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ფაქტობრივად აღიარებულ მოთხოვნებს. დამფუძნებლისთვის წარმოდგენილ ბალანსში სალაროს ნაღდი ფულის ნაშთი არ ფიქსირდებოდა, თუმცა მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე ფულის მოძრაობის ტესტირების და პირველადი დოკუმენტაციის გადამოწმების შემდეგ ფაქტობრივად დაფიქსირდა შესაბამისი ნაშთები.

3.2 შეუსაბამოები ნაღდი ფულის აღრიცხვაში

სალაროს წიგნი არ იყო დამუშავებული, გასაღლის და შემოსავლის ორდერებზე არ ფიქსირდებოდა დირექტორის ხელმოწერები, სალაროს წიგნის ფურცლების ყუაში ნაშთები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სხვადასხვა პერიოდისთვის გამოყვანილი სალაროს ნაშთები არ ემთხვეოდა შესაბამისი პერიოდისთვის ასლგადამღები ფურცლით შესაგვსებ სალაროს წიგნის გვერდებს.

სსიპ – შემოსავლების სამსახურის ვებგვერდიდან მიღებული მონაცემების, საზოგადოების სალარო აპარატის⁸ ჩეკებით მიღებული შემოსავლების შედარებით, სალაროს წიგნში ასახულ შემოსავლებს შორის გამოვლინდა სხვაობები.

⁶ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2014 წლის 29 სექტემბრის N01/37 ბრძანებით დამტკიცებული პშს „ავტოტრანსპორტის“ წესდების მუხლი 4, პუნქტი 4.3, ქვეპუნქტი „უ“.

⁷ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 9, პუნქტები: 5 და 6.

⁸ სალაროს აპარატის ნომერი DY 00131467.

3.3 შეუსაბამობები იჯარის აღრიცხვაში

დადგინდა, რომ საწარმოს საბუღალტრო ჩანაწერებში სრულად არ იყო აღრიცხული მოიჯარეების⁹ მიერ გადახდილი იჯარის ქირისა და კომუნალური გადასახადის თანხები.

3.4 შეუსაბამობები საწვავის ხარჯების აღრიცხვაში

სამინისტრომ¹⁰ საზოგადოების ბალანსზე რიცხული სამსახურებრივი ავტომანქანისათვის განსაზღვრა ყოველთვიური მომსახურების ხარჯი, თუმცა სალაროდან საწვავის შესაძენად გაცემულ თანხებზე საქონლის ან მომსახურების შეძენა არ დასტურდება, ხოლო შეძენილი საწვავის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია¹¹ საბუღალტრო ჩანაწერებში არ მოიპოვება.

შესაბამისად, საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებისა და დამფუძნებლის მხრიდან არასათანადო კონტროლის პირობებში, ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და საბუღალტრო აღრიცხვისას გამოვლენილი სერიოზული დარღვევა-ნაკლოვანებები წარმოქმნის საწარმოს შემოსავლების არამიზნობრივად და არაეფექტიანად ხარჯვის მნიშვნელოვან რისკებს.

რეკომენდაცია სამინისტროს

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება (აუდიტის ობიექტი) იმყოფება ლიკვიდაციის რეჟიმში, მიზანშეწონილად ჩაითვალა:

- სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის ისეთი სისტემები (მექანიზმები), რომლებიც უზრუნველყოფს:
 -) 100%-ით დაფუძნებულ საწარმოთა ბიზნესპროცესების კანონშესაბამისობასა და მართლზომიერებას, აღრიცხვა-ანგარიშგების სწორად წარდგენასა და ანგარიშვალდებულებას;
 -) ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაციის პროცესებზე, ამოღებული თანხების აღრიცხვასა და განკარგვის კანონშესაბამისობას;
 -) სარგებლობის უფლებით გადაცემული სახელმწიფო ქონების მართლზომიერად და ეფექტიანად გამოყენებას.
- სამინისტრომ განიხილოს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა არაჯეროვანი დამოკიდებულებით დაფიქსირდა:
 -) გადაცემული მოძრავი ქონების ბიზნესპროექტებით გათვალისწინებულ ღონისძიებებში გამოყენების ნაცვლად საჯარო ელექტრონულ აუქციონზე რეალიზაცია და ამოღებული თანხების (არამიზნობრივად) მიმდინარე ხარჯების დასაფარავად მიმართვა;
 -) საზოგადოების სარგებლობაში მიღებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები) არამართებულად, არამიზნობრივად, არაეფექტიანად განკარგვა და საბაზრო ღირებულების შესაბამისად სარგებლობაში გადაცემის საფასურის ბიუჯეტში გადაუხდელობის ფაქტები.

⁹ მერაბ აიგრო – 5,863.4 ლარი; ალექსანდრე ჩაჩავა – 1,410 ლარი; დავით ჩაჩიბაია – 906.24 ლარი; რამაზ ნადარეიშვილი – 1,625 ლარი; მარინა გურჩიანი – 514 ლარი.

¹⁰ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2016 წლის N164/02 წერილი.

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანებით დამტკიცებული „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებაზე გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესის“ მუხლი 4.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

საზოგადოება (საწარმო) და სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელი არიან განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მონოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარად წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ საზოგადოების ფულადი სახსრების ხარჯვა და მატერიალური ფასეულობების გამოყენება არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „ავტოტრანსსერვისის“ ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტი მოიცავს 01.01.2015 – 31.12.2018 წლების პერიოდს.

აუდიტის კრიტერიუმები

-)/ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

-)/ საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
-)/ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
-)/ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „დებულება საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ 2012 წლის 29 ივნისის N6598 (ძალადაკარგულია 2016 წლის 8 ივნისის);
-)/ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს N5386, რომელიც ძალაშია 2016 წლის 8 ივნისიდან;
-)/ საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ 2005 წლის 5 აპრილს N9 დადგენილებით დამტკიცებული „მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული (დროებითი) სტანდარტები“ (მოქმედებდა 2006 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 28 ივნისამდე);
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანებით დამტკიცებული „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებაზე გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესი“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის ბრძანება N7 „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 მაისის ბრძანება N5 „სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლის რეგისტრაციის და სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება N9-ი „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N13 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 16.03.2012 წლის N01/44 ბრძანება;
-)/ შპს „ავტოტრანსსერვისის“ წესდება.

აუდიტის მიზანი

აუდიტის საგნის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (შემდგომ – კრიტერიუმი) შესაბამისობის შესახებ დასკვნების წარმოდგენას, აუდიტის ანგარიშის გაცემას და სადაც შესაფერისია – რეკომენდაციების შემუშავებას.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-)/ სამართლებრივი რეგირების ღონისძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზი;
-)/ აუდიტის ობიექტის ბიზნესპროცესებზე დაკვირვება;
-)/ ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან და ფოკუსგუფებთან (გამოკითხვა);
-)/ აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ძირითადი ტესტირება;
-)/ აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
-)/ აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული გაანგარიშებების ხელახალი შესრულება;
-)/ მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზების და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი);
-)/ აუდიტის ობიექტის არათვინანსური აქტივების დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

- აუდიტის ობიექტი – შებენიანი სასახლისმშენებლობის საზოგადოება „ავტოტრანსსერვისი“;
-)/ რეგისტრირებულია 1997 წლის 4 სექტემბერს, რეგ. N 5ა/4-2289;
 -)/ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემულია გადასახადის გადამხდელის მოწმობა 5ა/789;
 -)/ დამფუძნებელი პარტნიორი – აფხაზეთის ქონების მართვის დეპარტამენტი 100%-იანი წილით;
 -)/ დაფუძნების დროს საწესდებო კაპიტალში ჩადებულია 38,507 ლარის ღირებულების მოძრავი ქონება;
 -)/ ხელახალი რეგისტრაცია შესრულდა აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2014 წლის 29 სექტემბრის N 01/37 ბრძანებით;
 -)/ იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, მეველის ქუჩა N17;
 -)/ 2015 წლის 11 თებერვლამდე დირექტორის თანამდებობა ეკავა ვალერი კვიციანს, შემდეგ – ზურაბ ზარანდიას;
 -)/ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის N01/44 ბრძანებით გამოცხადდა შპს-ის ლიკვიდაციის პროცესის დაწყება და ლიკვიდატორად დაინიშნა ზურაბ ზარანდია;
 -)/ შეჩერდა ლიკვიდაციის პროცესი წარდგენილ დოკუმენტაციებში აღმოჩენილი ხარვეზების გამო, ხარვეზები დროულად არ იქნა აღმოფხვრილი;¹²
 -)/ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2019 წლის 1 თებერვლის N 01/04 ბრძანებით შპს-ის ლიკვიდატორად დაინიშნა გვიად ქობალია.
 -)/ ანგარიშის გამოცემის პერიოდისათვის ლიკვიდაციის პროცესი დასრულებული არ იყო.

¹² საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებები: N B19008219/4 (28/01/2019, 18:47:31) და NB19008219/6 (26/02/2019, 15:57:59).

2. აუდიტის მიგნებები

1. საჯარო ელექტრონულ აუქციონზე მოძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხების ხარჯვის მიზნობრიობა

კრიტერიუმი:

სხვადასხვა პერიოდში, მინისტრის ბრძანებებით, საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით, კონკრეტული მიზნობრიობით – ბიზნესპროექტების¹³ განსახორციელებლად, საზოგადოებას გადაეცა ავტონომიური რესპუბლიკის მოძრავი ქონება.

ფაქტობრივი გარემოება:

საზოგადოება გადაცემულ ქონებას არ იყენებდა მიზნობრივად, როგორც ეს განსაზღვრული იყო გადაცემის დოკუმენტებში. ამის ნაცვლად, აღნიშნულ ქონებას ყიდდა საჯარო ელექტრონული აუქციონის საშუალებით და რეალიზაციიდან მიღებულ თანხებს არამიზნობრივად მიმართავდა მიმდინარე ხარჯების დასაფარავად.

მაგალითად, საზოგადოების ღირებურობა თხოვნით მიმართა მინისტრს,¹⁴ საზოგადოებისთვის გადაეცა უწყებაში არსებული გამოუყენებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, შემდგომში მათი რეალიზაციისა და მიღებული თანხით ამავე წერილში მითითებული ბიზნესპროექტების დაფინანსების მიზნით.¹⁵ მინისტრის ბრძანებით,¹⁶ საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით, საზოგადოებას გადაეცა 14,881.43 ლარის ღირებულების 4 ერთეული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც გაიყიდა საჯარო ელექტრონულ აუქციონზე და რეალიზაციიდან მიღებულმა თანხამ შეადგინა – 5,720.00 ლარი, რაც მოხმარდა არა ბიზნესპროექტების განხორციელებას, არამედ მიმართულ იქნა საზოგადოების თანამშრომელთა ხელფასებისა და სხვა მიმდინარე ხარჯების დასაფარავად.

2015-2018 წლებში მინისტრის ბრძანებების¹⁷ საფუძველზე საზოგადოებას გადაეცა 39 ერთეული სხვადასხვა დასახელების, ჯამში – 78,635.75 ლარის საბალანსო ღირებულების სამინისტროს ბალანსის საცნობარო მუხლზე ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრების უფლებით აღრიცხული მოძრავი ქონება. საჯარო ელექტრონულ აუქციონზე მოძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებულმა თანხამ შეადგინა 71,047 ლარი, რაც საზოგადოების მიერ სრულად (არამიზნობრივად) იქნა მიმართული მიმდინარე ხარჯების დასაფარავად. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებაში, გარდა საჯარო ელექტრონულ აუქციონზე მოძრავი ქონების გაყიდვიდან (71,047 ლარი) და

¹³ ბლოკის საჯარო საამქროს და მარცვლეულის საფეკვაი წისქვილის შეძენა შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით.

¹⁴ შპს „ავტოტრანსსერვისის“ ღირებურობის 2015 წლის 10 დეკემბრის N02/104 წერილი.

¹⁵ 6400 ლარის ღირებულების ბლოკის საჯარო საამქროს და 6000 ლარის ღირებულების მარცვლეულის საფეკვაი წისქვილის შეძენა შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით.

¹⁶ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2015 წლის 25 დეკემბრის N03/268 ბრძანება.

¹⁷ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანებები; N03/35, 23.02.2015წ.; N01/39, 28.09.2015წ.; N03/268, 25.12.2015წ.; N01/15, 24.03.2016წ.; N01/29, 13.07.2016წ.; N01/47, 24.10.2016წ.; N01/48, 31.10.2016წ.; N01/15, 06.04.2017წ.; N01/35, 14.06.2017წ.; N01/33, 12.06.2018წ.

უძრავი ქონების იჯარით გაცემისგან (66,000 ლარი) მიღებული თანხებისა, სხვა შემოსავლები და/ან აქტივობები არ დაფიქსირებულა, ხოლო ბიზნესგეგმებისა და პროექტების შეუსრულებლობა, მართალია, სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ პერიოდულად განიხილებოდა, მაგრამ სათანადო (ეფექტიანი) რეაგირება ამ პროცესს არ მოჰყოლია.

დასკვნა

ამრიგად, საზოგადოების (საწარმოს) ხელმძღვანელობის მიერ ბიზნესგადაწყვეტილებების (გეგმების) შეუსრულებლობის, დაკისრებული მოვალეობებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და დამფუძნებლის (სამინისტროს) მხრიდან სათანადო კონტროლის მექანიზმების არარსებობის შედეგად, დაფიქსირდა 78,635.75 ლარის ღირებულების უძრავი ქონების არადანიშნულებით გამოყენებისა (უძრავი ქონების სხვადასხვა ბიზნესპროექტებში გამოყენების ნაცვლად, მათი საჯარო ელექტრონულ აუქციონზე გაყიდვა) და ამ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების (შემოსავლების) – 71,047 ლარის არამიზნობრივად გახარჯვის ფაქტები.

2. საზოგადოების (საწარმოს) სამენარმეო ბიზნესპროცესები

საქართველოს კანონმდებლობით¹⁸ „სამენარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლმომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.“

2.1. კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ ქონების იჯარით გაცემა

კრიტერიუმი: საქართველოს კანონმდებლობით,¹⁹ „სახელმწიფო ქონება სარგებლობაში გადაეცემა ვადით ან უვადოდ, სასყიდლით ან უსასყიდლოდ, აუქციონის ფორმით ან მის გარეშე“ და „სახელმწიფო ქონება სარგებლობაში შეიძლება გადაეცეს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, აგრეთვე ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს“.

ფაქტობრივი გარემოება:

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ საჯარო რეესტრში გაატარა²⁰ საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ქონებაზე (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2369 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები).²¹

2011 წლის 16 ივნისს აღნიშნული ქონება სარგებლობაში²² გადაეცა²³ აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს არსებობის ვადით.

აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრის ბრძანების²⁴ შესაბამისად, საზოგადოებას დაევალა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საკომუნიკაციო

¹⁸ საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“, მუხლი პირველი, პუნქტი 2.

¹⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, მუხლი 33, პუნქტი 1 და პუნქტი 2.

²⁰ 2011 წლის 24 მაისს.

²¹ ქალაქ თბილისში, მეველის ქუჩა N17-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2369 კვ.მ ფართობის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1, N2, N3 შენობა-ნაგებობებზე საკადასტრო კოდი: N 01.17.12.016.015.

²² წერილი N05/10163, დამოწმების თარიღი: 23/05/2011, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

²³ ამონაწერი უძრავი ქონების საჯარო რეესტრიდან 2011 წლის 21 ივნისი, განცხ. N 882011295183, საკადასტრო კოდი: N01.17.12.016.015.

²⁴ აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 16 მარტის N01/44 ბრძანება.

ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვლა-შენახვა და კომუნალური გადასახადების გადახდა. როგორც გაირკვა, საზოგადოება (საწარმო) ზემოთ აღნიშნულ ქონებას ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე იყენებდა სამეწარმეო საქმიანობისთვის. კერძოდ, იჯარით გასცემდა სხვადასხვა ფიზიკურ პირზე და მოქმედი კანონმდებლობის²⁵ მიხედვით, საბაზრო ღირებულების შესაბამისად, ბიუჯეტში არ იხდიდა სარგებლობაში გადაცემის საფასურს.

დასკვნა

იმის გამო, რომ მოქმედი კანონმდებლობით²⁶ არ განხორციელებულა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლოდ ან სასყიდლოდ (ქირით, იჯარით) გადაცემა, დაფიქსირდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების არამართებულად, არამიზნობრივად და არაეფექტიანად განკარგვა და საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სარგებლობაში გადაცემის საფასურის ბიუჯეტში გადაუხდელობის ფაქტები.

2.2 კანონმდებლობასთან და საზოგადოების (საწარმოს) წესდებასთან შეუსაბამო ბიზნესპროცესები – გარე აუდიტორის შერჩევა

კრიტერიუმი:

წესდების მიხედვით,²⁷ საზოგადოების მართვის სფეროს სხვადასხვა საკითხთან ერთად, პარტნიორი იღებს გადაწყვეტილებას აუდიტორის არჩევის თაობაზე.

ფაქტობრივი გარემოება:

საზოგადოების (საწარმოს) დირექტორმა წერილობით²⁸ აცნობა მინისტრს, რომ მოძიებულია სერტიფიცირებული აუდიტორი 2014, 2015 წლების და 2016 წლის (ოქტომბრის ჩათვლით) პერიოდების „ბუღალტრულ-ეკონომიკური საქმიანობის შესამოწმებლად“ და ითხოვა თანხმობა აუდიტორული შემოწმების ჩატარებაზე. მინისტრი დაეთანხმა²⁹ ზემოაღნიშნული აუდიტორული მომსახურების მისაღებად სერტიფიცირებული აუდიტორის მონვევაზე, თუმცა არ მიუღია გადაწყვეტილება კონკრეტული აუდიტორის დანიშვნის თაობაზე. მიუხედავად ამისა, დირექტორის მიერ ერთპიროვნულად, დასაბუთების გარეშე, განხორციელდა კონკრეტული გარე აუდიტორის შერჩევა, რითაც დაირღვა საზოგადოების წესდების³⁰ მოთხოვნები.

დასკვნა

ამრიგად, დირექტორის მიერ უფლებების გადამეტების (პარტნიორის უფლებებში შეჭრა), სამინისტროს მხრიდან არასათანადო კონტროლის, გარე აუდიტორის მიერ ჩატარებული აუდიტის ანგარიშის სტანდარტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის³¹ და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამო,

²⁵ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 36, პუნქტები 1 და 1³, მუხლი 38, პუნქტი 3.

²⁶ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 33, პუნქტი 1;

²⁷ საზოგადოების (საწარმოს) წესდების მუხლი 4.

²⁸ 2016 წლის 5 ოქტომბრის N02/106 წერილი.

²⁹ 2016 წლის 17 ოქტომბრის N564/02 წერილი.

³⁰ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2014 წლის 29 სექტემბრის N01/37 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ავტოტრანსპორტის“ წესდების მუხლი 4, პუნქტი 3.

³¹ გარე აუდიტორის ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ სტატისტიკა (უამრავი უზუსტობითა და შეუსაბამოებით) რაიმე მიგნებების გარეშე და სტანდარტის მოთხოვნების დაუცველობით.

წარმოიქმნა არაობიექტური აუდიტორული შემოწმებისა და დამოუკიდებელი აუდიტორის დასაქირავებელი თანხის (2,000 ლარი) არაეფექტიანად გახარჯვის რისკები.

2.3. კანონმდებლობასთან და კრიტერიუმი:

საზოგადოებას წესდებასთან შეუსაბამოდ სესხის აღება

კანონის თანახმად,³² დირექტორები „საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ“.

კანონის მიხედვით,³³ თუ დირექტორის მიერ ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისას საზოგადოებას (საწარმოს) მიადგა ზიანი, დამრღვევი ვალდებულია დათმოს ამ საზოგადოებიდან გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლება და აანაზღაუროს ზიანი. ამ პირების მიერ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს სააქციო საზოგადოებაში აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, ხოლო ყველა დანარჩენ საზოგადოებაში – თითოეულ პარტნიორს.

ფაქტობრივი გარემოება:

სამინისტრომ³⁴ დააკმაყოფილა საზოგადოების (საწარმოს) დირექტორის³⁵ თხოვნა³⁶ და 2016 წლის 01 აპრილიდან გაუფორმა კუთვნილი შვებულება, სასწრაფო ოპერაციის გასაკეთებლად, დართო ნება საზოგადოების (საწარმოს) შემოსავლებიდან მიეღო პრემია – ერთი თვის სახელფასო განაკვეთის ოდენობით და მომდევნო თვის ხელფასი ავანსად. სალაროდან³⁷ სალაროს წიგნის³⁸ მიხედვით, 2016 წლის 01 აპრილს გაცემულია: 2016 წლის მარტის თვის ხელფასი, 2016 წლის აპრილის თვის ავანსი და ერთი თვის პრემია, სულ: 2,280 ლარი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისთვის დირექტორს 2016 წლის მარტის თვის ხელფასი მიღებული ჰქონდა. შესაბამისად, აღრიცხვაში დაშვებული შეცდომისა და არასათანადო კონტროლის გამო, მან ხელმეორედ, ზედმეტად მიიღო 2016 წლის მარტის თვის ხელფასი – 760 ლარი.

³² საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მუხლი 9, პუნქტი 6.

³³ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მუხლი 9, პუნქტი 5.

³⁴ სამინისტროს 2016 წლის 25 მარტის N200/02 წერილი.

³⁵ ზურაბ ზარანდია.

³⁶ საზოგადოების (საწარმოს) დირექტორის 2016 წლის 24 მარტის N01/11 წერილი.

³⁷ სალაროს გასაღლის ორდერი N34 თარიღის გარეშე.

³⁸ 2016 წლის სალაროს წიგნის 01.04 - 15.04-თვის N6 ფურცელი.

შვებულებაში ყოფნის დროს, დირექტორის მიერ სალაროში სესხის სახით შეტანილად ნაჩვენებია: 2016 წლის 15 აპრილს³⁹ – 1,660 ლარი და 2016 წლის 29 სექტემბერს⁴⁰ – 1,600 ლარი, სულ – 3,260 ლარი.

აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი: დირექტორსა და საზოგადოებას (საწარმოს) შორის დადებული სასესხო ხელშეკრულება, დასაბუთება სესხის სახით ფულადი სახსრების მოზიდვის აუცილებლობასა და მიზნობრიობაზე, პარტნიორის გადანაცვები⁴¹ და დირექტორის თანხმობა ფიზიკური პირისაგან სესხის მიღებაზე და აგრეთვე სესხით მოზიდული ფულადი სახსრების გახარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებისათვის დამატებითი ფულადი სახსრების მოზიდვის აუცილებლობა არ დასტურდება, რადგან მის საბანკო ანგარიშზე 2016 წლის 15 აპრილისათვის ნაშთად ერიცხებოდა – 8,463 ლარი,⁴² ხოლო 2016 წლის 29 სექტემბრის მდგომარეობით – 3,999 ლარი.⁴³ ამასთანავე, ფულადი ნაშთის გამოყენება მომდევნო პერიოდებში არ დაფიქსირებულა.

2017 წლის 13 ივლისის საწარმოს დირექტორის სახელზე სალაროდან სესხის დაბრუნების მიზნით გაცემულია 3,930 ლარი,⁴⁴ რაც ადრე საზოგადოებაში სესხის სახით შეტანილ თანხაზე (3,260 ლარი) 670 ლარით⁴⁵ მეტია.

დასკვნა

დამატებითი ფულადი სახსრების აუცილებლობის და მიზნობრიობის დასაბუთების, პარტნიორის თანხმობის და გადანაცვების გარეშე საზოგადოების მიერ დირექტორისაგან მოკლევადიანი სესხის აღებამ გამოიწვია გაუმართლებელი ვალდებულებების აღება და სესხის სარგებლობისთვის საპროცენტო ხარჯების განევა, რითაც დაირღვა საზოგადოების წესდების მოთხოვნები⁴⁶.

ამრიგად, მოკლევადიანი სესხთან დაკავშირებით საზოგადოების დირექტორის კანონშესაბამო⁴⁷ ქმედება, კერძოდ, ჯერ ავანსის სახით თანხების მიღება, ანუ ფაქტობრივად საწარმოსგან უპროცენტო სესხის აღება და შემდგომ იმავე საწარმოზე სესხის (პროცენტით) დაუსაბუთებლად და საჭიროების გარეშე გაცემა, კანონის⁴⁸ მოთხოვნათა დარღვევაა, შეიცავს ინტერსთა კონფლიქტის ნიშნებს და სამინისტროს მხრიდან კონტროლის

³⁹ 2016 წლის 15 აპრილის სალაროს შემოსავლის ორდერი N19.

⁴⁰ 2016 წლის სალაროს წიგნის 29 სექტემბრის შემოსავლის ორდერი N66.

⁴¹ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2014 წლის 29 სექტემბრის N01/37 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ავტორტრანსსერვის“-ს წესდების მუხლი 4, პუნქტი 4.3, ქვეპუნქტი „უ“.

⁴² ს/ს საქართველოს ბანკის ამონაწერი (ანგარიში 594971500), პერიოდი 01.01.2016-01.01.2017 წლების გვერდი N6.

⁴³ ს/ს საქართველოს ბანკის ამონაწერი (ანგარიში 594971500), პერიოდი 01.01.2016-01.01.2017 წლების გვერდი N9.

⁴⁴ 2017 წლის 13 ივლისის სალაროს გასავლის ორდერი N52.

⁴⁵ 3,930-3,260.

⁴⁶ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის 29 სექტემბრის N01/37 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ავტორტრანსსერვისის“ წესდების მუხლი 4, პუნქტი 3.

⁴⁷ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მუხლი 9, პუნქტები: 5 და 6.

⁴⁸ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მუხლი 9, პუნქტები: 5 და 6.

სისუსტის პირობებში წარმოადგენს არახელსაყრელი ქმედებით საზოგადოებისათვის მიყენებულ 670 ლარის ოდენობის ზიანს.

3. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების და პირველადი ჩანაწერების წარმოება

კრიტერიუმი:

მოქმედი კანონების⁴⁹ მოთხოვნების საფუძველზე, საზოგადოებას ევალება საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება, პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების დამუშავება, ფინანსური ანგარიშგების შედგენა და წარდგენა, რაც რეგულირდება საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტებით.⁵⁰

3.1 შეუსაბამობები ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერებსა და დამფუძნებლისთვის წარდგენილ ფინანსური ანგარიშგების ნაშთებს შორის

ფაქტობრივი გარემოებები:

-) იჯარით გაცემულ აქტივებზე ხელშეკრულებით დარიცხული მოთხოვნებისა და გადახდების პირველადი დოკუმენტების მიხედვით გაანგარიშებული დავალიანებების ნაშთები არ ემთხვევა დამფუძნებლისთვის წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ფაქტობრივად აღიარებულ მოთხოვნებს, 2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით სხვაობამ შეადგინა 2,953 ლარი;
-) დამფუძნებლისთვის წარმოდგენილ ბალანსში სალაროს ნაღდი ფულის ნაშთი არ ფიქსირდება. პირველადი დოკუმენტაციის გადამოწმების შემდეგ 2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით სალაროს ნაშთმა შეადგინა 1,184.50 ლარი, ხოლო ამავე წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 2,294.00 ლარი. საზოგადოების ლიკვიდატორის განმარტებით, 2018 წლის 31 დეკემბრიდან სალაროში ნაღდი ფულის ნაშთი ფაქტობრივად არ ირიცხება.

3.2 შეუსაბამობები ნაღდი ფულის აღრიცხვაში

ფაქტობრივი გარემოებები:

სალაროს წიგნი დაუმუშავებელია, სალაროს გასავლის და შემოსავლის ორდერებზე არ არის დირექტორის ხელმოწერები, სალაროს წიგნში დღის ბოლოსთვის ოპერაციების დასრულების შემდეგ ნაშთები გამოყვანილი და ჩანწერილია, მაგრამ ყუაში ნაშთები ნაჩვენები არ არის (იხილეთ: დანართი N1, ცხრილი N3).

საზოგადოებას სალაროს წიგნში სხვადასხვა პერიოდში გამოყვანილი სალაროს ნაშთები არ ემთხვევა სალაროს წიგნის ასლებს, რომლებიც ახლავს სალაროს შემოსავლის და გასავლის ორდერებს.

მაგალითად:

⁴⁹ „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ 2012 წლის 29 ივნისის N6598 კანონი (ძალადაკარგულია 2016 წლის 8 ივნისს); „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი N5386, რომელიც ძალაშია 2016 წლის 8 ივნისიდან; საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ 2005 წლის 5 აპრილს N9 დადგენილებით დამტკიცებული „მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული (დროებითი) სტანდარტები“ (მოქმედებდა 2006 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 28 ივნისამდე).

⁵⁰ „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ 2012 წლის 29 ივნისის N6598 კანონი (ძალადაკარგულია 2016 წლის 8 ივნისს); „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი N5386, რომელიც ძალაშია 2016 წლის 8 ივნისიდან; საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ 2005 წლის 5 აპრილს N9 დადგენილებით დამტკიცებული „მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული (დროებითი) სტანდარტები“ (მოქმედებდა 2006 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 28 ივნისამდე).

- სალაროს წიგნის მიხედვით, 2016 წლის 01.04-15.04 პერიოდისთვის სალაროს ნაშთი პერიოდის დასაწყისში არის 4,665.98 ლარი, პერიოდის ბოლოს – 780.98 ლარი, ასლგადამღები ქალაქით შესავესები ფურცლის ყუაში კი, ნაშთები არ ფიქსირდება;
- 2016 წლის 18.10-30.10 პერიოდის სალაროს წიგნის N16 ფურცელში სალაროს ნაშთი პერიოდის დასაწყისში არის 3,057.35 ლარი, პერიოდის ბოლოს – 1,051.95 ლარი, ასლგადამღები ქალაქით შესავესები ფურცლის ყუაში კი, ნაშთები არ ფიქსირდება.

გემოთ წარმოდგენილი ნაკლოვანებების მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა 26 შემთხვევაში. ნაღდი ფულის მოძრაობის აღრიცხვაში გამოვლენილი დარღვევები საზოგადოების ფულადი სახსრების დატაცების, არამიზნობრივად და არამართლზომიერად გახარჯვის რისკების შემცველია.

2018 წლის იანვრიდან მარტამდე პერიოდში სალაროს შემოსავლის და გასავლის ორდერებს არ ახლავს შესაბამისი პერიოდის სალაროს წიგნის ასლები (ყუა), ხოლო 2018 წლის აპრილიდან 2018 წლის დეკემბრის ჩათვლით, საზოგადოებას სალაროს წიგნი არ უწარმოებია.

სსიპ – შემოსავლების სამსახურის ვებგვერდიდან მიღებული მონაცემების – სალარო აპარატის ჩეკებით მიღებული შემოსავლების შედარებით, საზოგადოების სალაროს წიგნში ასახულ შემოსავლებთან გამოვლინდა სხვაობა 536 ლარი.

3.3 შესაბამობები იჯარის ფაქტობრივი გარემოებები: აღრიცხვაში

საწარმოსა და მოიჯარეებს შორის გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებებს, რომელთა მოქმედების ვადაც ამოიწურა 2016 წლის ივნისში, საწარმოს დირექტორის ბრძანებებით, სამინისტროსათან შეთანხმების გარეშე (რაც სისტემატურ ხასიათს ატარებდა), იჯარის ვადა გაგრძელდა 2016 წლის 31 დეკემბრამდე. 2017 წელს 5 მოიჯარე⁵¹ სახელმწიფო ფართებით სარგებლობდა ხელშეკრულების გარეშე. 2018 წელს მათ კვლავ გაუგრძელდათ ხელშეკრულებები 2018 წლის ბოლომდე. მენარმე ფიზიკური პირების მიერ გადახდილი იჯარის თანხების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართ N2-ში.

მოიჯარეების ახსნა-განმარტებებით, იჯარისა და კომუნალურ გადასახადებს ყოველთვიურად, ნაღდი ანგარიშსწორებით უხდიდნენ პირადად საწარმოს დირექტორს და 2019 წლის მარტისთვის საწარმოს მიმართ ვალდებულება არ გააჩნიათ. მოიჯარეებმა 2016 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 01 მარტამდე პერიოდში საწარმოს დირექტორს ნაღდი ფულის სახით გადაუხადეს სულ 56,913 ლარი, თუმცა საბუღალტრო დოკუმენტების (სალაროს შემოსავლის ორდერები და 2019 წლის იანვარ-თებერვალში თვის საბანკო ანგარიში) მიხედვით საწარმოში შემოსულმა თანხამ შეადგინა – 45,936 ლარი. 2019 წლის იანვარ-თებერვალში საბანკო ანგარიშზე შეტანილია იჯარის თანხა –

⁵¹ დავით ჩაჩიბაია, მერაბ აიგრო, რამაზ ნადარეიშვილი, ალექსანდრე ჩაჩავა და მარინა გურჩიანი.

880 ლარი, თუმცა, აღნიშნული თანხა კონკრეტულად რომელ მოიჯარეს ეკუთვნის, არ არის მითითებული. შესაბამისად, საწარმოს საბუღალტრო ჩანაწერებში არ არის აღრიცხული მოიჯარეების⁵² მიერ გადახდილი საიჯარო ქირისა და კომუნალური გადასახადის თანხები 10,939.64 ლარის ოდენობით. საბუღალტრო ჩანაწერების მიხედვით, საწარმოს სახელით გადახდილია 6,718 ლარის კომუნალური გადასახადები, რაც მოიცავს მოიჯარეებისაგან ნაღდი ანგარიშსწორებით მიღებულ კომუნალურ გადასახადებს 1,670 ლარის ოდენობით. სხვაობა – 5,048 ლარი, მიკუთვნებულია საწარმოს კომუნალურ ხარჯებზე. ამ ოდენობის კომუნალური ხარჯების საწარმოს დანახარჯებზე მიკუთვნება არარეალური და არამართებულია, რადგან ამ პერიოდში საზოგადოება საკუთრივ რაიმე აქტივობებს არ ეწეოდა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მოიჯარეების განმარტებით, მათ საწარმოს დირექტორს კომუნალური გადასახადის სახით გადაუხადეს 5,458 ლარი, ნაღდი ანგარიშსწორებით, რაც საბუღალტრო ჩანაწერების მონაცემებს (1,670 ლარი) 3,788 ლარით აღემატება.

ცხრილი 1.

N	წლები	კომუნალური გადასახადები			
		სულ საწარმოს მიერ გადახდილი	მ.შ. საბუღ. დოკ. მოიჯარეების გადახდილი	სხვაობა	მოიჯარეების მიერ დირექტორისა თვის გადახდილი ნაღდი ანგარიშსწორებით
1	2	3	4	5	6
1.	2016 წ.	2,144	734	1,410	1,474
2.	2017 წ.	2,367	473	1,894	1,932
3.	2018 წ.	2,207	463	1,744	2,052
	სულ:	6,718	1,670	5,048	5,458

3.4 შეუსაბამოები საწვავის ფაქტობრივი გარემოებები: ხარჯების აღრიცხვაში

სამინისტრომ⁵³ საზოგადოების ბალანსზე რიცხული სამსახურებრივი მსუბუქი ავტომანქანის⁵⁴ ყოველთვიური მომსახურების ხარჯი განსაზღვრა 80 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, დირექტორზე საწვავის

⁵² მერაბ აიგრო – 5,863.4 ლარი; ალექსანდრე ჩაჩავა – 1,410 ლარი; დავით ჩაჩიბაია – 906.24 ლარი; რამაზ ნადარეიშვილი – 1,625 ლარი; მარინა გურჩიანი – 514 ლარი.

⁵³ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2016 წლის N164/02 წერილი.

⁵⁴ „ოპელ ასტრა“ (სახ. ნომერი: LPL 417).

შესაძენად საზოგადოების სალაროდან 2016-2018 წლებში გაცემულია 2,698 ლარი, ხოლო 2018 წელს შპს „რომპეტროლ საქართველოსთვის“ ჩარიცხულია 976 ლარი. სულ საწვავის შესაძენად გადახდილია 3,674 ლარი. დოკუმენტურად დასტურდება 836 ლარის ღირებულების საწვავის შესყიდვა, ხოლო სალაროდან საწვავის შესაძენად გაცემული 1,862 ლარის ხარჯვა, არ არის დადასტურებული. აგრეთვე, საზოგადოების მიერ შეძენილი 1,812 ლარი ღირებულების საწვავის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია⁵⁵ საბუღალტრო ჩანაწერებში არ მოიპოვება.

დასკვნა

დარღვეულია ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების, პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების დამუშავების, ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის თაობაზე მოქმედი მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტების⁵⁶ მოთხოვნები, რითაც შეიქმნა საზოგადოების ფულადი სახსრების არამიზნობრივად და არაეფექტიანად გახარჯვის რისკები.

4. აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა

აუდიტის პროცესში საზოგადოების ხელმძღვანელობამ ვერ წარმოადგინა: 2015 წლის ბუღალტრული აღრიცხვის პირველადი დოკუმენტები, 2015-2018 წლების საბუღალტრო გატარებები, ჟურნალ-ორდერები, მემორიალური ორდერები, მთავარი წიგნი, თანამშრომელთა ხელფასის, ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშების და დარიცხვის უწყისები. ხელმძღვანელობის განმარტებით, აღრიცხვა-ანგარიშგება წარმოებდა საბუღალტრო პროგრამა „ორისში“, ხოლო კომპიუტერი, რომელშიც დაინსტალირებული იყო აღნიშნული პროგრამა, დაიწვა. მონაცემების ასლები არ არსებობს, ხოლო დაზიანებული კომპიუტერიდან საბუღალტრო ბაზის აღდგენა ვერ მოხერხდა.

აუდიტის პროცესში ალტერნატიული გზებით მოვიპოვეთ იქნა 2015-2018 წლების ამონაწერები საბანკო ანგარიშებიდან, 2016-2018 წლების სალაროს წიგნები, კომუნალური გადასახადების ქვითრები, წლიური ბიზნესგეგმები, წლიური ფინანსური ანგარიშგების ასლები და სხვა პირველადი დოკუმენტები, რაც საკასო მეთოდით დარიცხვის პირობებშიც კი საზოგადოების საქმიანობის სრულყოფილ სურათს ვერ იძლევა.

რეკომენდაცია სამინისტროს

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება (აუდიტის ობიექტი) იმყოფება ლიკვიდაციის რეჟიმში, მიზანშეწონილად ჩაითვალა:

- სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის ისეთი სისტემები (მექანიზმები), რომლებიც უზრუნველყოფს:

⁵⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანებით დამტკიცებული „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებაზე გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესის“ მუხლი 4.

⁵⁶ „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ 2012 წლის 29 ივნისის N6598 კანონი (ძალადაკარგულია 2016 წლის 8 ივნისს); „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი N5386, რომელიც ძალაშია 2016 წლის 8 ივნისიდან; საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ 2005 წლის 5 აპრილს N9 დადგენილებით დამტკიცებული „მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული (დროებითი) სტანდარტები“ (მოქმედებდა 2006 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 28 ივნისამდე).

- 100%-ით დაფუძნებულ საწარმოთა ბიზნესპროცესების კანონმდებლობისა და მართლზომიერებას, აღრიცხვა-ანგარიშების სწორად წარდგენასა და ანგარიშვალდებულებას;
 - ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაციის პროცესების, ამოღებული თანხების აღრიცხვისა და განკარგვის კანონმდებლობის კონტროლს;
 - სარგებლობის უფლებით გადაცემული სახელმწიფო ქონების მართლზომიერად და ეფექტიანად გამოყენებას.
- სამინისტრომ განიხილოს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა არაჯეროვანი დამოკიდებულებით დაფიქსირდა:
- გადაცემული მოძრავი ქონების ბიზნესპროექტებით გათვალისწინებულ ღონისძიებებში გამოყენების ნაცვლად საჯარო ელექტრონულ აუქციონზე რეალიზაცია და ამოღებულ თანხების (არამიზნობრივად) მიმდინარე ხარჯების დასაფარად მიმართვა;
 - საზოგადოების სარგებლობაში მიღებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები) არამართებულად, არამიზნობრივად, არაეფექტიანად განკარგვა და საბაზრო ღირებულების შესაბამისად სარგებლობაში გადაცემის საფასურის ბიუჯეტში გადაუხდელობის ფაქტები.

აუდიტორები

ხელმოწერა

ნოდარ გაბედავა

წამყვანი აუდიტორი

ფრიდონ დონაძე

აუდიტორი



დანართები

დანართი N1.

ცხრილი 2.

წლები	შემოსავლის ორდერები		გასავლის ორდერები		საღაროს წიგნის ფურცლები	
	სულ	მ.შ. ხელმოწერელი (ბუღალტრის მიერ)	სულ	მ.შ. ხელმოწერელი (დირექტორის და ბუღალტრის მიერ)	საღაროს წიგნის ფურცლები	საღაროს წიგნის ფურცლების ასლი (ყუა) საღაროს ორდერებზე, სადაც არ არის ნაშთები გამოყვანილი
2016	97	36	89	81	20	15
2017	92	26	75	44	14	9
2018	81	8	54	54	3	2
სულ	270	70	218	179	37	26

დანართი N 2.

ცხრილი 3.

N	მოიჯარის დასახელება	საამქროს დასახელება	დაკავებული ფართობი (კვ.მ.)	ყოველთვიუ რი გადასახადი	2016 წლის გადახდა	2017 წლის გადახდა	2018 წლის გადახდა
1.	ი/მ დავით ჩაჩიბაია ⁵⁷	შუშის საამქრო	60	450	5,569	5,070	4,210
2.	მერაბ აიგრო	ავტოსარემონტო	45	315	3,681	2,763	2,888
3.	რამაზ ნადარეიშვილი	მეტალოპლასტმასის საამქრო	21	200	2,269	2,200	2,456
4.	ალექსანდრე ჩაჩავა	ავტოსამრეცხაო	20	200	2,680	2,480	2,550
5.	გიორგი ოშხერელი	დახურული ფართი	40	250	0	2,197	3,139
6.	სანდრო როსტომაშვილი	საცხოვრებ. ფართი	25	200	470.	100	
7.	მარინა გურჩიანი			36	144	360	432
8.	შპს „ლირა+“	მიწის ნაკვეთი	200	500	0	0	0
9.	ი/მ ალექსანდრე შონია	მიწის ნაკვეთი	200	425			365
	სულ:				14,813	15,170	16,045

⁵⁷ ი/მ დავით ჩაჩიბაიას სიტყვიერი განმარტებით, საიჯარო ქირა შემცირდა და შეადგინა 350.0 ლარი (დოკუმენტური მტკიცებულება ვერ იქნა წარმოდგენილი), იჯარის თანხის 350.0 ლარის გადახდა დაწყებულია 2017 წლის სექტემბრიდან.

დანართი N3.

ცხრილი 4.

შპს „ავტოტრანსსერვისის“ მიერ 2016-2018 წლებში რეალიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები სამინისტროს მიერ მიღება						
N	აქტივების დასახელება	დაწესებულების დასახელება	მიღების თარიღი	სამინისტროდან საზოგადოებაზე გადაცემის თარიღი	გაყიდვის ფასი	გაყიდვის/გადაცემის თარიღი
1.	„უაზი ვილისი“ - სახ. ნომერი FNF 947	ნაშთში არსებული			1,675	19.04.2017
2.	„ლენდ როვერი“ - სახ. ნომერი SAK-522	რეგიონალური მართვის საკუთხეებში აფხ. ა/რ მინისტრის აპარატი	2012 წლი 10.09. მიღება-ჩაბარების აქტი N21/02-29/01-17	10.04.2014	2,800	19.01.2016
3.	„ნისან პატფაინდერი“ - სახ. ნომერი GMG-373	იმერეთის წარმომადგენლობა		10.04.2014	გადაცემულია	05.08.2014
4.	„ფორდ მონდო“ 2.0 GLX - სახ. ნომერი TBT - 155	სსიპ – სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი	2014 წ. 19.03. N03/57 ბრძანება	10.04.2014	590	02.02.2016
5.	„კამაზი“ - სახ. ნომერი MEG- 177	შპს „კოლორის“ გზა	კაპიტალიდან ამოღება- 28.09.2015	28.09.2015	14,000	23.02.2106
6.	„ნისან პატრული“ - სახ. ნომერი GNA-711	შპს „კოლორის“ გზა	კაპიტალიდან ამოღება- 28.09.2016	28.09.2015	3,600	02.02.2016
7.	„შკოდა ოქტავია“-2.0 - სახ. ნომერი WKW-281	აფხ. მთავრობის ადმინისტრაციულ- სამეურნეო სამმართველო	2015 წ. 07.04. N01/25	28.12.2015	1,310	30.11.2016
8.	„ფოლკსვაგენ პასატი“ - სახ. ნომერი RWR- 737	დევნილთა საქმეების დეპარტამენტი	26.06.2015 წ. მიღება- ჩაბარების აქტი N5	28.12.2015	1.750	08.12.2016
9.	„გაზ - 3507“ - სახ. ნომერი YY196VV	შსს-ს მიერ ჩამორთმეული	2015 წ. 11.06. წერილი N30/02	28.12.2015	895	19.01.2016
10.	„ოპელ ვექტრა“ - სახ. ნომერი ADK-730	სსიპ – სულიერების და კულტურის ცენტრი	2015 წ. 22.12 მიღება- ჩაბარების აქტი	28.12.2015	1,765	02.02.2016
11.	„მერსედესი“ - მიკროავტობუსი - სახ. ნომერი OCO-226	აფხ. ა/რ განათლების და კულტურის სამინისტრო	2018 წ. 11.03. მიღება- ჩაბარების აქტი N105	25.03.2016	10,680	30.11.2016
12.	„ფოლკსვაგენ ჯეტა“ - სახ. ნომერი ZMS-247	აფხ. ა/რ უმაღლესი საბჭოს აპარატი	2016 წ. 15.03. მიღება- ჩაბარების აქტი	25.10.2016	1,636	30.11.2016
13.	„მიცუბიში L-300“ - სახ. ნომერი VIV-691	სამეგრელო - ზემო სვანეთის წარმომადგენლობა	2016 წ. 25.07. მიღება- ჩაბარების აქტი	25.10.2016	792	30.11.2016
14.	„მიცუბიში L-300“ - სახ. ნომერი CAG-004	სსიპ – სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი	2016წ. 26.04. მიღება- ჩაბარების აქტი	25.10.2016	462	30.11.2016
15.	„ტოიოტა რაფ 4“ - სახ. ნომერი OB033BO	სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობა	2017 წ. 18.01. წერილი N01/26	06.04.2017	6,338	10.07.2017
16.	„ტოიოტა ლენდ კრუიზერი“ - სახ. ნომერი JOJ 327	აფხ. მთავრობის ადმინისტრაციულ- სამეურნეო სამმართველო	2017 წ. 13.03. ბრძანება N01/06	06.04.2017	გადაცემულია	10.11.2017
17.	„ნისან პატფაინდერი“ - სახ. ნომერი CAA104	აფხ. ა/რ უმაღლესი საბჭოს აპარატი	2017 წ. 12.01. წერილი N11	06.04.2017	3,200.00	19.04.2017
18.	„მერსედეს ბენცი C 200“ - სახ. ნომერი FVF 308	აფხ. ა/რ ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო	2016 წ. 29.09. N260 ბრძანება	06.04.2017	4,480	30.05.2017

19.	„ოპელ ვექტრა 1.6“ - სახ. ნომერი HLH 262	სსიპ – სოხუმის კ.გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი	2016წ. 08.12. N56 ბრძანება	14.06.2017	914	27.07.2018
20.	„მერსედეს ბენცი E“ 200 - სახ. ნომერი IG041GE	სსიპ – სულიერების და კულტურის ცენტრი	2018 წ. 02.03. მიღება_ჩაბარების აქტი	12.06.2018	1,450	22.11.2018

დანართი N4.

ცხრილი 5.

შპს „აეტოტრანსსერვისის“ საწესდებო კაპიტალის მოძრაობა 2014-2018 წლებში

N	საფუძველი	დოკუმენტის თარიღი	დოკუმენტის ნომერი	გადაცემული/ამოღებული ქონება	გადაცემა	ამოღება	ნაშთი
1.	საწყისი ნაშთი						73,221
2.	მინისტრის ბრძანება	08.04.2014	N 03/67	ავტომანქანები – 13 ერთეული	42,534	-	115,756
3.	მინისტრის ბრძანება	05.08.2014	N 03/171	„ნისან პატფაინდერი“	-	8,031	107,725
4.	მინისტრის ბრძანება	23.02.2015	N 03/35	სხვადასხვა დანართის სახით	1,764	-	109,489
5.	მინისტრის ბრძანება	28.09.2015	N 01/39	ავტომანქანები – 2 ერთეული	22,977	-	132,466
6.	მინისტრის ბრძანება	25.12.2015	N 03/268	ავტომანქანები – 4 ერთეული	14,881	-	147,348
7.	მინისტრის ბრძანება	24.03.2016	N 01/15	მიკროავტობუსი „მერსედესი“	9,357	-	156,705
8.	მინისტრის ბრძანება	13.07.2016	N 01/29	სხვადასხვა დანართის სახით	2,309	-	159,014
9.	მინისტრის ბრძანება	24.10.2016	N 01/47	ავტომანქანა – 3 ერთეული	3,692		162,706
10.	მინისტრის ბრძანება	31.10.2016	N 01/48	მობილური ტელეფონი „ერიქსონი“	275		162,981
11.	მინისტრის ბრძანება	06.04.2017	N 01/15	ავტომანქანები – 4 ერთეული	32,552	-	195,534
12.	მინისტრის ბრძანება	14.06.2017	N 01/35	„ოპელ ვექტრა“	1,571	-	197,105
13.	მინისტრის ბრძანება	10.11.2017	N 01/60	„ლენდ კრუიზერი“	-	13,140	183,965
14.	მინისტრის ბრძანება	12.06.2018	N 01/33	„მერსედეს-ბენცი“	2,395	-	186,360

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი	https://www.sao.ge/
სოციალური მედია	https://www.budgetmonitor.ge/ka
	http://www.blog.sao.ge/
	http://www.sai.ge/main/
	https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/
	https://www.youtube.com/user/saogeorgia
	https://www.facebook.com/www.sao.ge

ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
-------------------	---------------------

ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge
--------------------------	--

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38